

მარნეულის ნეოლითური ლანდშაფტი შომუ-შულავერის არქეოლოგიური  
კულტურის კონტექსტში

ლევან ლოსაბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინე დემეტრაძე-რენცი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის  
დეკანს, ბატონ გიორგი გვალისა,  
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის  
მაგისტრანტის, ლევან ლოსაბერიძის

### განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან ლოსაბერიძე

2019

## მადლობა

ნაშრომის შექმნაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ირინა დემეტრაძე-რენცს. ასევე ჩემს კოლეგებს: მარიამ ელოშვილს, გია ჩილინგარაშვილს, საბა ჯოხაძეს, ხალიდ ჯაიაზს.

## აბსტრაქტი

ლანდშაფტის არქეოლოგიას, საქართველოში, განვითარების არც ისე დიდი გზა აქვს გავლილი. ამ კუთხით, განსაკუთრებით ნაკლებად არის შესწავლილი სამხრეთ კავკასიის ნეოლითური კულტურები, კონკრეტულად კი - შომუ-შულავერის კულტურა. წარმოდგენილი კვლევა არის მცდელობა ლანდშაფტის არქეოლოგიის ინტერდისციპლინური მეთოდების (GIS - გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები, დისტანციური ზონდირება, სივრცული-ფუნქციური ანალიზი) დახმარებითა და თეორიული საკითხების ანალიზით შევქმნათ ნაშრომი, რომელიც სიახლეს შეიტანდა შომუ-შულავერის კულტურის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის საქმეში. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ მარნეულის ველი, ამ კულტურის მოსახლეობის მიერ იმაზე მასშტაბურად არის ათვისებული, ვიდრე აქამდე მიიჩნეოდა. არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად, მანამდე დაფიქსირებულ და შესწავლილ შვიდიოდე ნამოსახლარს დაემატა კიდევ 20-მდე ობიექტი, სადაც ამ კულტურისათვის დამახასიათებელი მცირე ზომის ბორცვები და არქეოლოგიური მასალა ფიქსირდება. GIS პროგრამის დახმარებით შესაძლებელი გახდა გამოვლენილ ნამოსახლართა დატანა რუკაზე, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი სურათი, რომ შომუ-შულავერის კულტურა მთელს მარნეულის ველზე ვრცელდება, რისი ძირითადი მიზეზებიც მდინარეთა სიმრავლე, ველის ნაყოფიერება და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია წყლის რესურსის მნიშვნელობასა და მისი გამოყენების გზებზე. ასევე არის დასახლებათა სივრცულ-ფუნქციური ანალიზისა და მოსახლეობის რაოდენობის გამოთვლის მცდელობა. და ბოლოს, ნაშრომის ძირითადი ლაიტმოტივია მოსახლეობის მიგრაცია, რის შესახებაც გარკვეული ვარაუდები გამოვთქვით.

**სამიუბო სიტყვები:** ლანდშაფტის არქეოლოგია, შომუ-შულავერის კულტურა, მარნეულის ველი, სივრცულ-ფუნქციური ანალიზი, წყლის რესურსის მართვა, მოსახლეობის მიგრაცია

## Abstract

The landscape archaeology as a branch is not well developed in Georgia. From this side we have poor examination of Neolithic cultures of the Southern Caucasus, especially Shomu-Shulaveri Culture. This work is an attempt to carry out interdisciplinary subjects during the researches such as GIS, Remote Sensing, Spatio-functional analyse and theoretical issues. Presented work shows that Marneuli plain was settled down more active than it was consumed. Based on archaeological survey we added almost 20 sites to excavated 7 ones. With contribution of the GIS program, we created the map of the distribution of the Neolithic settlements in Marneuli plain and we are able to say that whole plain was inhabited during 6<sup>th</sup> millennium BC by Shomu-Shulaveri society. The foremost reasons of this kind of settling in this region were very fertile plain with alluvial floodplains, rivers and diverse raw materials. There are also the attempts of Spatio-functional analyse of Shomu-Shulaveri settlements and estimating population sizes. To cut a long story short the main idea is to show the population migration, which was reflected with concretely hypotheses.

**Key words:** Landscape Archaeology, Shomu-Shulaveri Culture, Marneuli Plain, Spatio-Functional analyses, Water management, Population migration